კონფერენციის ტექნიკური დეტალები

საკონფერენციო ნაშრომების წარმოდგენის სტანდარტები შემდეგნაირად განისაზღვრება: ენა - ქართული. ფონტი: Sylfaen, შრიფტი: 12, დაშორება სტრიქონებს შორის: 1.5.

გამარჯვებულების გამოვლენა მოხდება ნაშრომის შინაარსობრივ მხარესა და პრეზენტაციაზე დაყრდნობით. მთლიან შეფასებაში ნაშრომის წილი არის 60%, პრეზენტაციის- 40%.

ნაშრომის შეფასება მოხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

კრიტერიუმი	ქულა
თემის აქტუალობა	10 ქულა
ნაშრომის ძირითადი საკითხების სიღრმისეული შესწავლა და ანალიზი	15 ქულა
ნაშრომის ორიგინალურობა, ინდივიდუალური აზროვნება	10 ქულა
ძირითადი საკითხების ლოგიკური ურთიერთმიმართება და არგუმენტირებული დასკვნა	20 ქულა
ნაშრომის სტანდარტების დაცვა	5 ქულა

1. თემის აქტუალობა-რამდენად მნიშვნელოვანია საკვლევი თემა, რატომ ღირს მასზე ყურადღების გამახვილება და მსჯელობა;
2. ნაშრომის ძირითადი საკითხების სიღრმისეული შესწავლა და ანალიზი -რამდენად არის გაცემული პასუხები ძირითად შეკითხვებზე, რამდენად სიღრმისეულად იცნობს სტუდენტი საკითხს და რამდენადაა მისი ინტერპრეტაციები მართებული;
3. ნაშრომის ორიგინალურობა, ინდივიდუალური აზროვნება-რამდენად ჩანს სტუდენტის დამოუკიდებელი აზროვნება და არის თუ არა ნაშრომში პლაგიატი;
4. ძირითადი საკითხების ლოგიკური ურთიერთმიმართება და არგუმენტირებული დასკვნა-ფლობს თუ არა სტუდენტი საჭირო ინფორმაციას, არის თუ არა დასკვნები ლოგიკური და თანმიმდევრული, დასაბუთებულია თუ არა დასკვნები;
5. ნაშრომის სტანდარტების დაცვა - რამდენად არის დაცული ნაშრომის წინასწარ განსაზღვრული სტანდარტები.

პრეზენტაციის შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

კრიტერიუმი	ქულა
პრეზენტაციის ვერბალური მხარე	5 ქულა
ნაშრომის იდეის განხორციელებადობის დასაბუთება	20 ქულა
პრეზენტაციის ურთიერთმიმართება ნაშრომთან	5 ქულა
პრეზენტაციის ტექნიკური მხარე	5 ქულა
დასმულ შეკითხვებზე პასუხის სიზუსტე და სიღრმისეულობა	5 ქულა

1. პრეზენტაციის ვერბალური მხარე-რამდენად ამყარებს სტუდენტი კონტაქტს აუდიტორიასთან, რამდენად შეუძლია აუდიტორიის ყურადღების გამახვილება ნაშრომის თემატიკაზე და იყენებს თუ არა ადეკვატურად ჟესტიკულაციას.
2. ნაშრომის იდეის განხორციელებადობის დასაბუთება- რამდენად შეძლებს სტუდენტი დაასაბუთოს ნაშრომის იდეის ან რეკომენდაციების განხორციელებადობა.
3. პრეზენტაციის ურთიერთმიმართება ნაშრომთან-პრეზენტაცია შეესაბამება ნაშრომს, შინაარსი არის ნათლად და ლაკონურად ჩამოყალიბებული.
4. პრეზენტაციის ტექნიკური მხარე-პრეზენტაციის გაფორმება და დიზაინის მნიშვნელობა, წარმოდგენილია დიაგრამები, გრაფიკები და სხვა თვალსაჩინოებები, საკითხებს შორის გადასვლები გამართულია.
5. დასმულ შეკითხვებზე პასუხის სიზუსტე და სიღრმისეულობა-სტუდენტი სწორად პასუხობს ყველა დასმულ შეკითხვას და მისი პასუხები დამაჯერებელი და არგუმენტირებულია.